P.S.

თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

ვინ იქნება საქართველოს პირველი ლედი კონსტიტუციის მიხედვით?

მაკა ჩიჩუა თუ ნუნუ თამაზაშვილი?

იხილეთ მე-5 გვერდზე

№ 32 (682) 18 - 24 ნოემბერი, 2013 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი | PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

სახელმწიფომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების დაფინანსება მხოლოდ 1 ლარით გაზარდა

„პირველი ნაბიჯი საქართველო“ – პანდუსიანი ორგანიზაცია ქუთაისში

იხილეთ მე-2 გვერდზე

ქუთაისის განათლების რესურს-ცენტრის ხელმძღვანელი:

„ჩვენ ერთგვარი გამტარი მილივით ვართ, რასაც დაგვავალებენ, იმას გადავცემთ დირექტორებს“

ქუთაისელი პედაგოგი კონკურსის წინააღმდეგ

„ამ ყველაფრის შემდეგ მე დავურეკე განათლების ყოფილ მინისტრს და ვუთხარი: — ბატონო გიორგი, მე მივხვდი, რომ თქვენ არ ხართ ჩვენი მინისტრი, რადგან თქვენ ნამდვილად არ ფიქრობთ პედაგოგებზე,“ – ამბობს ქუთაისის №41 საჯარო სკოლის ქართული ენის პედაგოგი, რომელიც ქუთაისის რესურს-ცენტრის ხელმძღვანელის პოსტზე სამტრედიელი კადრის დანიშვნას სამარცხვინოს უწოდებს. მისი თქმით, გავრცელებული ინფორმაციით, იგი კახა კალაძის ახლო ნათესავია და მას კონკურსში მონაწილეობის მომენტშიც ლობირებდნენ.

ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი ლია კუხიანიძე, რომელსაც აქამდე არცერთ კონკურსში არ მიუღია მონაწილეობა, რესურს-ცენტრის ხელმძღვანელის პოსტზე გამოცხადებულ პირველ კონკურსში „ქართული ოცნების“ ქუთაისის ორგანიზაციის რეკომენდაციით გავიდა, თუმცა, გასაუბრების ეტაპზე გადასული პედაგოგი დაიწუნეს და ხელმძღვანელის პოსტზე სხვა კანდიდატი შეარჩიეს. როგორც კუხიანიძე ამბობს, კონკურსის შედეგად შერჩეულ ლევან ბუაძეს გამარჯვების აღსანიშნავად რესტორანში სუფრაც კი ჰქონდა შეკვეთილი, მაგრამ მოულოდნელად მისი კანდიდატურა დაბლოკეს. არაოფიციალური ინფორმაციით, მას ნარკოტიკების მოხმარებაში ედებოდა ბრალი.

მოგვიანებით, რესურს-ცენტრის ხელმძღვანელის პოსტზე კონკურსი მეორედ გამოცხადდა, თუმცა, ლია კუხიანიძეს მასში მონაწილეობა აღარ მიუღია. კუხიანიძის ნაცვლად კი, „ქართულმა ოცნებამ“ რეკომენდაცია №7 სკოლის დირექტორს, ენდი ნემსიწვერიძეს, გაუწია. საბოლოო გამარჯვება კი სამტრედიელმა კონკურსანტმა მოიპოვა.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

კლასიკური მუსიკის კონცერტი ქუთაისის ოპერის თეატრში

2013 წლის 23 ნოემბერს ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ პიანისტთა მონაწილეობით გაიმართება **კლასიკური მუსიკის კონცერტი: მზია ჯაჯანიძე, გიორგი აბულაძე, დავით ციცქიშვილი.**

კონცერტში მონაწილეობს გერმანიაში მოღვაწე აზერბაიჯანელი მევიოლინე **ოგტაი ზეინალოვ-შუბერტი.** კონცერტი ეძღვნება გიორგობის დღესასწაულს.

დასაწყისი: **19:00 საათზე**

მიშა წავიდა!

იხილეთ მე-4 გვერდზე

სკანვორდი — გვ. 8 | განცხადებები — გვ. 7

გოჩა თევდორაძე: „ნამდვილად არ მაქვს იმის განცდა, რომ უსახლკარო უნდა ვიყო“

იხილეთ მე-2 გვერდზე

ხალხის აზრი

რომელი მინისტრის საქმიანობა მოსწონთ ქუთაისელებს?

იხილეთ მე-3 გვერდზე

რატომ არ გადაუხადეს კუთვნილი ხელფასი ბურჯანაძის პარტიის ქუთაისელ კოორდინატორებს?

იხილეთ მე-4 გვერდზე

რაში სდებს ბრალს ქუთაისის საკრებულოს „ნაციონალი“ წევრი საკრებულოს თავმჯდომარეს?

იხილეთ მე-4 გვერდზე

საგარეჯოში გამგებელსა და მაჟორიტარს უპირისპირდებიან

იხილეთ მე-6 გვერდზე

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „პოპული“; ტელ.: 790 927 927.

წიგნები შენ გელოდება!
ქუთაისი, საგაჯრო ცენტრი „პოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

PSnews.ge

ISSN 1987-7056

სახელმწიფომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების დაფინანსება მხოლოდ 1 ლარით გაზარდა

„პირველი ნაბიჯი საქართველო" – პანდუსიანი ორგანიზაცია ქუთაისში

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს განსაკუთრებული მზრუნველობა და ყურადღება სჭირდებათ, რისთვისაც ქვეყნის მასშტაბით რამდენიმე დღის ცენტრი და ორგანიზაცია არსებობს. ისინი სახელმწიფოს კონტრაქტორები არიან. მათ შორისაა ორგანიზაცია „პირველი ნაბიჯი — საქართველო", რომლის ფილიალიც ქუთაისში ხარებავას ქუჩაზე მდებარეობს. ორგანიზაცია 2 წელია, ფუნქციონირებს და ამ დროისთვის 54 ბავშვს ემსახურება. „პირველი ნაბიჯი – საქართველო" ორი პროგრამის — „დღის ცენტრის" და „ადრეული ჩარევის" პროგრამის პროვაიდერია. ვინაიდან ცენტრი სახელმწიფოს კონტრაქტორია, სახელმწიფოსგან თითოეულ ბენეფიციარზე დაფინანსებას დღეში 11 ლარს იღებს. ცენტრის ქუთაისის ფილიალის მენეჯერის, ნათია გუდავას განცხადებით, სახელმწიფოს მიერ გადმორიცხული თანხა ხარჯების მხოლოდ 60 პროცენტს ფარავს და საკმარისი არ არის.

„P.S.ფოტო" (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

ნათია გუდავა

რა პრობლემები აქვს ცენტრს და რატომ ვერ ეხმარება ადგილობრივი თვითმმართველობა ორგანიზაციას, ამის შესახებ ორგანიზაციის ქუთაისის ფილიალის მენეჯერი საუბრობს.

ნათია გუდავა:

– ჩვენთან ვაუჩერული დაფინანსებაა, ბავშვის მეურვე სოციალური მომსახურების სააგენტოში დაფინანსების მოსაპოვებლად წერს განცხადებას, თუკი მოპოვებული სარეიტინგო ქულა არის 10 000, ბენეფიციარი იღებს 100%-იან დაფინანსებას, მეტი ქულების შემთხვევაში კი 75%-ს, დარჩენილ 25 პროცენტს მშობელი ფარავს. მაგრამ ცუდია ის ფაქტი, რომ ვაუჩერებიც არის ლიმიტირებული. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში მომლოდინეთა სიის რიგითობის გადაადგილება ხდება. სახელმწიფოს მიერ გადმორიცხული თანხა თითო აღსაზრდელზე დღიურად 11 ლარს შეადგენს, 2012 წლამდე ეს 10 ლარი იყო, 2013 წლიდან კი მხოლოდ 1 ლარი დაემატა და 11 გახდა. ამ თანხიდან უნდა დავფაროთ კომუნალური გადასახადი, კვების ფული, ტრანსპორტირება, საჭირო ინვენტარი და ასევე ხელფასები, რაც საკმარისი ნამდვილად არ არის და დამატებითი თანხის მოპოვება ჩვენ გვიხდება.

ერთი საინტერესო ფაქტიც დევს ჩვენს ვალდებულებაში, ხელშეკრულებით ტრანსპორტირება არ გვევალება, მაგრამ სახელმწიფო გვავალდებულებს ტრანსპორტირების ორგანიზებას, ანუ გვავალდებულებს იმას, რაც არ გვევალება. ჩვენს მსგავსად არასაკმარის დაფინანსებაზე სხვა ორგანიზაციებიც საუბრობენ და არცთუ უსაფუძვლოდ. აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო ორგანოს ხშირად მივმართავთ, თუმცა, მიუხედავად დაპირებისა, სასიკეთოდ არაფერი შეცვლილა. პროცესში ნაკლებად არიან ჩართული ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, არადა შესაძლებელია, კომუნალური გადასახადი მაინც დაგვიფაროონ, რომელიც ზამთრის თვეებში, საშუალოდ, 500 ლარია. ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელს კოტე ლომიძეს მივმართეთ განცხადებით, რომ ჩვენთან მოსასვლელი გზის არც თუ დიდი მონაკვეთი მოეწესრიგებინათ, რადგან წვიმიან ამინდში, როდესაც გზაზე ტბები დგება, იძულებულები ვართ, ბავშვები ხელში აყვანილები მივიყვანოთ. თუმცა, მერის მოვალეობის შემსრულებლის შეცვლის შემდეგ კეთილმოწყობის სამსახურთან გადაგვამისამართეს, სადაც მივიღეთ დაპირება, რომ ჩვენი ქუჩა 2014 წელს სატენდერო წინადადებაში ჩაისმება. ჩვენ ვართ იურიდიული პირი, მაგრამ წყლის გადასახადს როგორც კომერციული ორგანიზაცია, ისე ვიხდით. გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას არაერთხელ მივმართეთ თხოვნით, ჩვენთვის კომერციული ორგანიზაციის სახელი ჩამოეშორებინათ, რადგან ცენტრი კომერციულ საქმიანობას არ ეწევა და აღნიშნული თანხა ჩვენთვის მძიმე ტვირთია, მაგრამ ყოველთვის უარს ვიღებთ. სამწუხაროა, მაგრამ, თუკი ასე გაგრძელდა და სახელმწიფომ მეტი პასუხისმგებლობა არ იკისრა და ჩვენ საზოგადოებაში არ გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ამ ბავშვებს უსასყიდლოდ გაუწევენ დახმარებას, ცენტრი დახურვის საფრთხის წინაშე დადგება.

— რა არის ცენტრის დანიშნულება და რა პროგრამები ხორციელდება?

— ცენტრი შშმ პირებისთვის საზოგადოებაში ინტეგრაციის საუკეთესო საშუალებაა, რათა მათ დაძლიონ ის არსებული სტიგმები და დისკრიმინაცია, რაც მათი შესაძლებლობების გამოვლენაში შეუშლით ხელს. საზოგადოება მათ მიმართ სენსიტიური უნდა გახდეს. ჩვენი ბენეფიციარების შესაძლებლობები „გაბზის" ინსტრუმენტით მოწმდება. შემოწმების შემდეგ იწერება მიზანი, რომელიც ბავშვმა მასწავლებელთან ერთად უნდა დაძლიოს, ეს მიზანია საკუთარი სახელის ინიციალების ამოცნობა, თმის დავარცხნის მიჩვევა და სხვა მსგავსი ელემენტარული პროცესები, რომლის დაძლევასაც, დაახლოებით, 5 თვე სჭირდება. ხშირად მშობელი საკუთარი შვილის შესაძლებლობებს არასწორად აფასებს. მასწავლებელთან ერთად ბავშვებთან მუშაობს ფსიქოლოგი, „პირველი ნაბიჯი – საქართველო" არის ერთადერთი ორგანიზაცია ქუთაისში, რომელიც ადრეული ჩარევის პროგრამის განმხორციელებელია. მინდა, მადლობა ვუთხრა შპს „ონიმას", რომელიც ყოველთვიურად 50 ლარის პროდუქციას გადმოგვცემს და ასევე გიორგი სიხარულიძეს, მესხიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, რომელმაც ჩვენს პატარებს ერთი სპექტაკლი აჩუქა, რომელიც, სავარაუდოდ, დეკემბერში გაიმართება და შემოსული თანხა ჩვენს ცენტრს გადაეცემა. კარგი იქნება, თუკი ადამიანები ჩაერთვებიან ამ ქველმოქმედებაში და შეიძენენ ბილეთებს. საზოგადოება უნდა მიეჩვიოს, გაიღოს მცირედი, რომელიც სასიცოცხლო მნიშვნელობის არის ამ ბავშვებისთვის. ვცდილობთ, ბავშვებს კარგი გარემო შევუქმნათ, რათა ადვილად მოახერხონ ადაპტირება, ჩვენთვის უკვე მიღწევაა ის ფაქტი, რომ ბავშვები ერთმანეთზე ზრუნავენ, ცნობენ და უყვართ ერთმანეთი.

***

დღის ცენტრი არის ერთადერთი დაწესებულება ქუთაისში, რომელსაც პანდუსი აქვს და სადაც შშმ პირებს დამოუკიდებლად გადაადგილება შეუძლიათ, ეს პრობლემა მწვავედ დგას ქუთაისში, მიუხედავად პრობლემაზე ხშირად საუბრისა, პანდუსი ამ დრომდე არ არის ქუთაისის მერიაში, თეატრებში, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში და სხვა მნიშვნელოვან საჯარო დაწესებულებებში, სადაც ხშირად იმართება საინტერესო ღონისძიებები.

ცენტრში არსებული მყუდრო გარემო, ფერადი ოთახები, სათამაშოები ემოციებით გავსებს, ხოლო იმის ნახვა, თუ როგორ ზრუნავენ პატარები ერთმანეთზე, გაფიქრებს, რომ შენც შეგიძლია, დაეხმარო მას და მისცე თუნდაც ხანმოკლე ბედნიერების უფლება.

ნესტან ჩაგელიშვილი

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:
ნესტან ჩაგელიშვილი

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

R — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

გოჩა თევდორაძე: „ნამდვილად არ მაქვს იმის განცდა, რომ უსახლკარო უნდა ვიყო"

პარტია „პატრიოტთა ალიანსის" ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარემ გოჩა თევდორაძემ მის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის მართვისა და უძრავი ქონების დიდი რაოდენობით უკანონოდ შეძენის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის საპასუხოდ ბრიფინგი გამართა. თევდორაძემ ყველა იმ ბრალდებაზე ისაუბრა, რაც მისი მისამართით „ნაციონალების" და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მხრიდან ბოლო დროს ისმის.

„P.S.ფოტო" (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

გოჩა თევდორაძე

თევდორაძე გაზეთ „პოსტსკრიპტუმში" გამოქვეყნებულ მასალასაც გამოეხმაურა და განაცხადა, რომ მის სახელზე რეგისტრირებული ქონების ჩამონათვალი, რომელიც გაზეთმა გამოაქვეყნა, ძალიან მცირეა.

„ვკითხულობ გაზეთ „პოსტსკრიპტუმში" რომ თურმე სხვადასხვა ადგილზე ვფლობ ქონებას. მინდა ვთქვა, რომ სხვაზე მეტი არაფერი მაქვს, თუმცა, არც ის განცდა მაქვს, რომ უსახლკარო უნდა ვიყო. თითოეულ თქვენგანს აქვს კორპუსის ქვეშ სარდაფი ან ავტომობილის დასაყენებელი ადგილი. ძალიან მწირია ის ჩამონათალი, რაც ჩემს ქონებაზე აქვთ ჟურნალისტებს. მათ კი, ვინც დაინტერესებულია ჩემი ქონებით და საზოგადოება შეცდომაში შეჰყავს, თავად მიისწრაფის თანამდებობისკენ.

„როგორ ვერევი მე ადგილობრივი თვითმმართველობის საქმეებში მაშინ, როცა მერიც და მერის მოვალეობის ორივე შემსრულებელი, რომლებიც პოსტებზე დაინიშნენ „ქართული ოცნების" კადრები იყვნენ," – აცხადებს თევდორაძე.

მარიამ პატარაია

ქუთაისის განათლების რესურს-ცენტრის ხელმძღვანელი:

„ჩვენ ერთგვარი გამტარი მილივით ვართ, რასაც დაგვავალებენ, იმას გადავცემთ დირექტორებს"

ლია კუხიანიძე

ბადრი ვაშაკიძე

პირველი გვერდიდან

„თეთრი ძაფით ნაკერი სამარცხვინო საქმე იყო სამტრედიელის დანიშვნა ამ პოსტზე. ნუთუ ერთი ქუთაისელი არ მოიძებნა ამ ქალაქში, ვინც კარგად იცნობს ქალაქის რეალობას და ადაპტაციისთვის არ დასჭირდებოდა დრო, მაგრამ ეს სისტემის ბრალია. არც ერთი რეფორმა არ ჩაუტარებია „ნაციონალურ მოძრაობას" ხარისხიანად და ყველაზე ცუდი ის არის, რომ ის აბსურდი, რაც დაიწყო განათლების სისტემაში, არ გაჩერებულა. პედაგოგები, იმის იმედით, რომ ხელფასს მოუმატებენ და იმის შიშით, რომ თუ არასერთიფიცირებულები იქნებიან, სკოლიდან გაუშვებენ, აბარებენ ამ სულელურ ტესტებს და გადიან გამოცდებზე. ისე არიან შეშინებულები, რომ უთხრა, ხვალ ბალერინას კაბით მოდით სკოლაშიო, დამერწმუნეთ — მოვლენ. მე სირცხვილადაც კი მიმაჩნია, რომ ილიას და აკაკის ასწავლიდე და თვითონ კურდღელი იყო, მაგრამ ვინ აქცია ეს ხალხი კურდღლებად? რა თქმა უნდა, სისტემამ, რომლის დამუხრუჭებასაც ვეღარ ახერხებენ, რადგან არ არის ქვეყანაში სისტემის შეცვლის მზაობა," — ამბობს **ლია კუხიანიძე.**

მისი თქმით, არასწორი რეფორმების ერთ-ერთი შედეგია რესურს-ცენტრი, რომელიც საბოლოოდ მხოლოდ გამტარ რგოლად დარჩა, რეალური ფუნქციები კი მას არ გააჩნია.

„არაფერს არ აკეთებს დღეს რესურს-ცენტრი. ვერც პოლიტიკას ქმნის და არც რეალური ფუნქციები გააჩნია. მთელი ერთი წელი მართავდა ქუთაისის რესურს-ცენტრს ბუღალტერი და ამას არანაირი პრობლემა არ შეუქმნია იმიტომ, რომ დავალების მიღება და მერე სკოლების დირექტორების გაფრთხილება ძალიან მარტივი საქმეა. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ არც უნდა მოსცდეს კარგი პედაგოგი ამ საქმისთვის. ყველაფერი, რაც რესურს-ცენტრის ხელმძღვანელის დანიშვნას უკავშირდებოდა, ბინძური თამაში იყო და მე მივხვდი, რომ ამ თამაშის ნაწილი ვხდებოდი, რაზეც მალევე ვთქვი უარი," — ამბობს კუხიანიძე.

„პედაგოგები, იმის იმედით, რომ ხელფასს მოუმატებენ და იმის შიშით, რომ თუ არასერთიფიცირებულები იქნებიან, სკოლიდან გაუშვებენ, აბარებენ ამ სულელურ ტესტებს და გადიან გამოცდებზე. ისე არიან შეშინებულები, რომ უთხრა, ხვალ ბალერინას კაბით მოდით სკოლაშიო, დამერწმუნეთ - მოვლენ. მე სირცხვილადაც კი მიმაჩნია, რომ ილიას და აკაკის ასწავლიდე და თვითონ კურდღელი იყო..."

რა კავშირი აქვს ბადრი ვაშაკიძეს კახი კალაძესთან?

რესურს-ცენტრის ხელმძღვანელის შესარჩევ კონკურსში პრივილეგიების არსებობას გამორიცხავს რესურს-ცენტრის ახლადდანიშნული ხელმძღვანელი **ბადრი ვაშაკიძე.** ვაშაკიძე უარყოფს კახი კალაძესთან მის ნათესავურ კავშირს და ამბობს, რომ კომისიამ მასზე არჩევანი გამოცდილების გათვალისწინებით შეაჩერა.

„არანაირი კავშირი არ მაქვს კახი კალაძესთან. მან მხოლოდ გუშინ გაიგო ჩემი დანიშვნის შესახებ და ისიც, რომ ჩემს გვარს მასთან აკავშირებენ. მსგავსი არაფერი ყოფილა, საერთოდ არ ვიცნობდი კომისიის წევრებს. საგანმანათლებლო სფეროში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება მაქვს და დარწმუნებული ვარ, სწორედ ამ ნიშნით შემარჩიეს. ის, რომ სამტრედიელი ვარ, არაფერს ცვლის. ძალიან მტკივნეულია ჩემთვის, როცა ამბობენ — რატომ დაინიშნა სამტრედიელი კაცი ქუთაისშიო. სამტრედიაში ხელმძღვანელ პოსტებზე სულ ქუთაისელი კადრები არიან, მაგრამ ამას არავინ აპროტესტებს," — ამბობს **ბადრი ვაშაკიძე.**

ვაშაკიძე არ უარყოფს, რომ მისი სამუშაო არც შრომატევადია და არც დიდ ძალისხმევას მოითხოვს, თუმცა, მიიჩნევს, რომ სამინისტროსა და სკოლებს შორის დამაკავშირებელი რგოლის არსებობა აუცილებელია.

„ჩვენ ერთგვარი გამტარი მილივით ვართ, რასაც დაგვავალებენ, იმას გადავცემთ სკოლების დირექტორებს, მაგრამ კონტროლისთვის მაინც საჭიროა მისი არსებობა. ჩვენი თანამშრომლები პერიოდულად ამოწმებენ სკოლებში სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხების ხარჯვის კანონიერებას, შესრულებული სამუშაოების ხარისხს და ასე შემდეგ," — ამბობს ვაშაკიძე.

ქუთაისის რესურს-ცენტრში სულ 5 თანამშრომელია დასაქმებული. რესურს-ცენტრის საქმიანობა, ძირითადად, მოსწავლეთა და აბიტურიენტთა, ასევე დასაქმების მაძიებელ პედაგოგთა შესახებ ინფორმაციის განათლების სამინისტროსთვის მიწოდებით შემოიფარგლება. რესურს-ცენტრის ხელმძღვანელი, სამინისტროს დავალებით, პერიოდულად ხვდება სკოლების დირექტორებს, თუმცა, როგორც ირკვევა, უახლოეს დღეებში შეიქმნება განათლების სამინისტროს სპეციალური e-მაილი, რომლის საშუალებითაც ქუთაისის ყველა საჯარო სკოლის დირექტორი დავალებებს ინტერნეტის საშუალებით მიიღებს, რაც იმას ნიშნავს, რომ რესურს-ცენტრს კიდევ უფრო შეეზღუდება ფუნქციები.

„თათბირების ინტენსივობასაც, ალბათ, შევამცირებთ. რაზე უნდა ვითათბირო მათთან, როცა მე არაფერს ვწყვეტ?" — ამბობს ვაშაკიძე.

ქუთაისის რესურს-ცენტრის შენახვა სახელმწიფოს ყოველწლიურად 77500 ლარი უჯდება.

მარიამ პატარაია

ქუთაისის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტი განსახილველად მზადაა

ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა, გია შარაბიძემ ჟურნალისტებთან ქუთაისის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტი განიხილა. შარაბიძის განცხადებით, მომავალი წლის ქუთაისის ადგილობრივი ბიუჯეტი 42168000 ლარი იქნება. ამ ციფრში არ შედის რეგიონული განვითარების სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხა. დამატებით, ტრანსფერის სახით, ადგილობრივი ბიუჯეტი ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებულ 29 271 000 ლარსაც მიიღებს.



მერის მოვალეობის შემსრულებელი არ უარყოფს, რომ 2013 წლის ბიუჯეტში არის შესრულების პრობლემა. ასევე მომავალი წლის ბიუჯეტი მიმდინარე წლის ბიუჯეტთან შედარებით შემცირებულია.

მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულია ახალი, დამატებითი პროგრამების დაფინანსება. ქუთაისის მერიის გადაწყვეტილებით, სოციალური სამსახურის მიერ 2014 წელს ეპილეფსიის დაავადებული ადამიანებისთვის დაფინანსდება მედიკამენტების შეძენა; დაწყებითი კლასების 4050 მოსწავლე, პროფილაქტიკის მიზნით, გაივლის სამედიცინო შემოწმებას; მზრუნველობამოკლებული ბავშვები, რომლებიც მიაღწევენ 18 წელს, რის შემდეგაც მათ უუქმდებათ მზრუნველობა, ერთი წლის განმავლობაში მერიისაგან მიიღებენ გარკვეულ დახმარებას თანხის სახით; იმ ოჯახებს, რომლებიც მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს ოჯახებში წამოიყვანენ და აღზრდიან, სახელმწიფოს მიერ დადგენილ 90 ლართან ერთად, მერიისგან ყოველთვიურად 200 ლარით დაეხმარებიან; მრავალშვილიანი ოჯახები კი თითო ბავშვზე ყოველთვიურად 20 ლარს მიიღებენ.

გია შარაბიძის თქმით, 2014 წლის ბიუჯეტის პროექტში აქცენტი ინფრასტრუქტურულ პროექტებზეა გაკეთებული.

2014 წლის ბიუჯეტი საკრებულოს განსახილველად 15 ნოემბერს გადაეგზავნება. საკრებულოში წარდგენისა და განხილვის შემდეგ შესაძლებელია, ბიუჯეტის პროექტმა ცვლილებები განიცადოს.

ნესტან ჩაგელიშვილი

psnews.ge

ხალხის აზრი

რომელი მინისტრის საქმიანობა მოსწონთ ქუთაისელებს?

მანანა ბექაური

მანანა ბექაური, ლექტორი: „ამ ერთი წლის მანძილზე ირაკლი ღარიბაშვილის საქმიანობას გამოვარჩევდი. ჩემი აზრით, ის იმსახურებს ხელისუფლებაში დარჩენას, ახალგაზრდა კაცია და იქნებ რაიმე სიკეთე მოიტანოს ქვეყანაში ამ ახალგაზრდულმა გუნდმა".

მაია ქურციკიძე

მაია ქურციკიძე, გამყიდველი: „არცერთი მინისტრის მუშაობა არ მომწონს, არა ვარ შედეგით კმაყოფილი, უფრო მეტის მოლოდინში ვიყავი".

გულო ფურცელაძე, პედაგოგი: „ყველაზე მეტად ირაკლი ღარიბაშვილის მუშაობა მომეწონა, სასარგებლო რეფორმები გატარდა განათლების სფეროშიც. მთავრობაში არაერთი გამორჩეული პიროვნებაა და იმედი მაქვს, განაგრძობენ წარმატებულ საქმეებს".

მარინა ბიბიჩაძე

მარინა ბიბიჩაძე, ექიმი: „ძალიან მომწონს ღარიბაშვილის მუშაობა, საქმიანია, ჭკვიანი, სერიოზული, ეტყობა, რომ განათლებულია. ყველაფერს აკეთებს ისე, როგორც შეეფერება მის თანამდებობას".

დალი ჭოხონელიძე

დალი ჭოხონელიძე, პედაგოგი: „მინისტრებიდან გამოვარჩევდი განათლების მინისტრს, მომწონს ის ცვლილებები, რაც განათლების სფეროში განხორციელდა. დახმარებები, უფასო წიგნები და ა.შ. მაგრამ უკმაყოფილო ვარ სახელმძღვანელოებით. არ არის წიგნები ისე შედგენილი, რომ ადვილი გასაგები იყოს ბავშვებისათვის. იმედია, ამ პრობლემას დროულად მიხედავენ".

ჯიბო ჩოგოვაძე

ჯიბო ჩოგოვაძე, მზარეული: „ღარიბაშვილის მუშაობა მომეწონა ყველაზე მეტად. ახალგაზრდაა, განათლებული და შეიძლება, მან მაინც გააკეთოს რაღაც ქვეყნის სასიკეთოდ".

სვეტლანა ლაბჟანია

სვეტლანა ლაბჟანია: „მე, ირაკლი ღარიბაშვილის მუშაობა მომეწონა ყველაზე მეტად. ახალგაზრდაა, განათლებული და დარწმუნებული ვარ, ქვეყნის სასიკეთოდ იმუშავებს მომავალშიც".

ლილი ახობაძე: „მართალია, არიან გამოსარჩევი პიროვნებები მთავრობაში, მაგრამ, ვთვლი, რომ ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა თითოეული მათგანის მუშაობა. მე მჯერა, რომ ეს გუნდი გამოასწორებს სიტუაციას საქართველოში".

ამირან ჯოხაძე: „ამ მთავრობამ გაამართლა ჩემი იმედები. ყველა მინისტრით კმაყოფილი ვარ და, ალბათ, აწინ უფრო დაიხვეწება მათი მუშაობა. მთავარია, მშვიდობა იყოს ქვეყანაში".

ჟანა ჟანელიძე

რატომ არ გადაუხადეს კუთვნილი ხელფასი ბურჯანაძის პარტიის ქუთაისელ კოორდინატორებს?

ნინო ბურჯანაძე

პარტია „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს" ქუთაისის კოორდინატორები კუთვნილ ანაზღაურებას მოითხოვენ. ნინო ბურჯანაძის შტაბის ადგილობრივი წარმომადგენლების განცხადებით, პარტიას საარჩევნო მუშაობისთვის განსაზღვრული თანხა სრულად არ დაუფარავთ, მათივე განცხადებით, ვერც ინფორმაციას იღებენ, ვინაიდან ბურჯანაძის ქუთაისის შტაბი დაკეტილი ხვდებათ.

ინფორმაციის დასაზუსტებლად psnews.ge ქუთაისის შტაბის პრესსამსახურის უფროსს ლელა ხიდაშელს დაუკავშირდა. მისი განცხადებით, რა დავალიანება აქვს პარტიას, მისთვის უცნობია, რადგან არჩევნების შემდეგ ოფისი დაიკეტა. ხიდაშელის განცხადებით, აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით პასუხის გაცემა ქუთაისში არავის შეუძლია, რადგან ხელფასების გაცემა სათავო ოფისის გადასაწყვეტია.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

გოგი წულაია: „800 კაცი რომ ზის მერიაში, რომელიმემ მაინც ხომ უნდა იცოდეს წერა-კითხვა?"

საჯარო ინფორმაციის დამალვა — ეს არის თემა, რომელზეც პარტია „თავისუფალი საქართველოს" იმერეთის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ბრიფინგი გამართა.

ქუთაისის მერია, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, დევნილთა სამინისტრო და სხვა სახელმწიფო უწყებები საჯარო ინფორმაციის დამალვის მცდელობაში და გულგრილობაში დაადანაშაულა. პარტიის თავმჯდომარის გოგი წულაიას განცხადებით, აღნიშნულ უწყებებში მან რამდენჯერმე გააგზავნა წერილი ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებით, თუმცა პასუხი არც ერთხელ მიუღია.

„ჩვენ რამდენჯერმე მივმართეთ ქუთაისის მერიას წერილობით, რომ მოეცა ჩვენთვის საჯარო ინფორმაცია, თუმცა პასუხი არც ერთხელ მიგვიღია. 800 კაცი რომ ზის მერიაში, რომელიმემ მაინც ხომ უნდა იცოდეს წერა-კითხვა, გვიპასუხოს, რა ეტაპზეა საქმე? მოვუწოდებ ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებელს, გია შარაბიძეს, დაავალოს თავის თანამშრომლებს ინფორმაციის გაცემა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ვაპირებთ სასამართლოში შევიტანოთ სარჩელი და ინფორმაციის დამალვისათვის მერიას 100 ლარიანი ჯარიმა დავაკისროთ. არა მგონია, მერიას ჰქონდეს იმის უფლება, რომ ხალხის საკუთრება ასე ანიავოს," — აცხადებს წულაია.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

მიშა წავიდა!

მიხეილ სააკაშვილი

ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ მოქმედი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უკვე ჩვეულებრივი მოქალაქე გახდება. როგორია სააკაშვილის მომავალი გეგმები და აქვს თუ არა მას პოლიტიკური მომავალი, ამაზე სხვადასხვა აზრი და შეფასება ისმის საზოგადოებაში, თუმცა დაზუსტებული პასუხი არ არის. როგორც პრეზიდენტის პრესსპიკერის რანგში მანანა მანჯგალაძემ ბოლო პრეს-კონფერენციისას განაცხადა, მიხეილ სააკაშვილი თავის გეგმებზე თავად ისაუბრებს.

მოქმედი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის აზრით, მიხეილ სააკაშვილს და მის გუნდს საქართველოში პოლიტიკური მომავალი არ გააჩნიათ. სოციოლოგი იაგო კაჭკაჭიშვილის აზრით კი, სააკაშვილის მომავალი საქართველოში პროკურატურაზეა დამოკიდებული, ხოლო პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი მიიჩნევს, რომ მოქმედი პრეზიდენტი თავის მომავალს ევროსტრუქტურებში ხედავს.

„ვფიქრობ, რომ საქართველოში პოლიტიკური მომავალი არც უგულავას და არც სააკაშვილს არ აქვთ, ჩემი აზრით, მათ ძალიან ბევრი გააფუჭეს უკვე და საზოგადოებაშიც მათ მიმართ ძალიან ბევრი კითხვა არსებობს. საერთოდ „ნაციონალურ მოძრაობას" ძალიან გაუჭირდებათ, რომ საქართველოში პოლიტიკური კარიერა გაიკეთონ. ქართველი ხალხი არ არის ისეთი ყრუ და ბნელი, როგორც ისინი ფიქრობენ. თუმცა ასე ნუ მიიღებენ, რომ მე ვინმეს ვანადგურებ, მე, უბრალოდ, საკუთარ აზრს ვაფიქსირებ" – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა თეა სიჭინავას გადაცემა „პოლიტიკის დროში."

მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის ბოლო პერიოდში ვრცელდებოდა ინფორმაციები, რომ ის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის დაფუძნებას და ქართული მეღვინეობის პოპულარიზაციის მიმართულებით აქტიურად მუშაობას გეგმავს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ მიხეილ სააკაშვილი ისევ რჩება პარტიის ლიდერად და არჩეულ თავმჯდომარედ, რაც, სავარაუდოდ, მის მომავალ პოლიტიკურ აქტივობაზეც მიუთითებს.

თუმცა, მიხეილ სააკაშვილის თანაგუნდელები აცხადებენ, რომ მათთვის პრეზიდენტის სამომავლო გეგმების შესახებ არაფერია ცნობილი და მხოლოდ პროგნოზებით შემოიფარგლებიან. როგორც პრეზიდენტის პრესსპიკერი მანანა მანჯალაძე ამბობს, ამაზე პასუხი არ აქვს. სააკაშვილის მომავალ გეგმებზე არ საუბრობს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსიც.

„საერთოდ, პროგნოზების კეთება უმადური საქმეა, განსაკუთრებით პრეზიდენტთან დაკავშირებით, თუმცა, როგორც მე ვიცი, მსოფლიოს ძალიან ბევრი უნივერსიტეტია დაინტერესებული იმით, რომ მან წაიკითხოს ლექციების კურსი. ასევე, პრეზიდენტის მტკიცე გადაწყვეტილებაა, რომ ყველაფერი გააკეთოს საქართველოს პოპულარიზაციისათვის და დეოკუპაციის თემის წამოწევისთვის მთელ მსოფლიოში. უფრო კონკრეტულად მისი გეგმების შესახებ ინფორმაცია არ მაქვს" – უთხრა „ნეტგაზეთს" საპარლამენტო უმცირესობის წევრმა **ნუგზარ წიკლაურმა.**

მიხეილ სააკაშვილის კარიერის უცხოეთში გაგრძელებას არც მისი კიდევ ერთი თანაპარტიელი სერგო რატიანი გამორიცხავს:

„მე ვიცი, თუ რა რეპუტაცია აქვს მას საერთაშორისო ინსტიტუტებში. უნივერსიტეტებშიც მას არაერთხელ წაუკითხავს ლექცია და მე ამას არ გამოვრიცხავ. სააკაშვილს მართლაც უნიკალური გამოცდილება აქვს ქვეყნის მოდერნიზაციის მიმართულებით. მან განახორციელა ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმა. დასავლური უნივერსიტეტები კი ასეთ შესაძლებლობებს ხელიდან არ უშვებენ ხოლმე."

სოციოლოგი იაგო კაჭკაჭიშვილი კი აცხადებს, რომ თუ საგამოძიებო უწყებები აღმოაჩენენ რაიმე ისეთ საქმეს, რის საფუძველზეც პრეზიდენტს ბრალს წაუყენებენ, სააკაშვილისთვის უჯობესი იქნება, თუ ქვეყანას დატოვებს:

„ჩვენ ეს დღეები სულ გვესმის, მათ შორის მთავარი პროკურორისგან და ასევე, ივანიშვილისგანაც განცხადებები იმის თაობაზე, რომ პრეზიდენტი, სულ მცირე, დაიკითხება და რომ ზურაბ ჟვანიას საქმე გახსნის ეტაპზეა მისული და რომ მაღალი რანგის ჩინოსნები არიან ჩართულნი, სააკაშვილიც მოიხსენიება ამ კონტექსტში. მოკლედ, თუ მოხდა ისე, რომ სააკაშვილს საქართველოში აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობის შესაძლებლობა არ მიეცა, მაშინ მე ვფიქრობ, მას ურჩევნია, რომ წავიდეს უცხოეთში და იქ რაღაცნაირად თავშესაფარი ნახოს, რომელიმე საერთაშორისო სტრუქტურაში საქმიანობის თვალსაზრისით."

როგორც პოლიტოლოგმა სოსო ცისკარიშვილმა „პირველის" პრესკლუბში განაცხადა, სააკაშვილი თავის მომავალს ევროსტრუქტურებში ხედავს და მოქმედი პრეზიდენტის ბოლოდროინდელი ხშირი კომუნიკაცია ევროპარლამენტარებთან სწორედ ამაზე მეტყველებს.

„დარწმუნებული ვარ, მისი ლამის ყოველდღიური გამოჩენა ევროპარლამენტში, უკანასკნელი თვის განმავლობაში თითქმის მუდმივი კომუნიკაცია სხვადასხვა ევროპარლამენტართან მიგვანიშნებს იმაზე, რომ მისი ინტერესი ამ ორგანიზაციის მიმართ საკმაოდ მაღალია და მისი თვალით დანახული პერსპექტივა უფრო ევროპულ სივრცეს მიეკუთვნება, ვიდრე ვთქვათ, გაერო-ს მიერ მოცული პლანეტის სხვა კონტინენტს. უფრო მშვიდი იქნება მისი, ისევე, როგორც საქართველოს მომავალი ცხოვრება, თუ დროულად გადაწყვეტს, დატოვოს ქვეყანა და ახალი ცხოვრების დაწყება სხვაგან ეცადოს. სხვა შემთხვევაში, არ ვარ დარწმუნებული, რომ სამართლიანობის ის მიდგომა, რომელსაც ევროკავშირის ლიდერთა ნაწილი გვთავაზობს, მისაღები იყოს ჩვენი მოსახლეობისთვის. არც ჩვენთვის და არც ევროკავშირისთვის მისაღები არ იქნება, თუ სააკაშვილი, თავის პერსპექტივასთან ერთად, მუდმივი ქიშპის საგნად გადაიქცევა," — განაცხადა **სოსო ცისკარიშვილმა.**

რაც შეეხება სამომავლოდ სააკაშვილის პოლიტიკურ საქმიანობას საქართველოში, პოლიტოლოგი ამბობს, რომ მას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ასევე პარლამენტში „ანკესები აქვს ჩაყრილი, თუმცა შეიკვრება თუ არა ეს ანკესები ღუზად", „ქართული ოცნების" საქმიანობაზე იქნება დამოკიდებული.

„თუ „ქართული ოცნების" ღუზა თავად გადაიქცევა ანკესების ნაკრებად, შეიძლება, სააკაშვილის ოცნება აღსდგეს, მაგრამ მაინც არ მგონია, რომ ეს მისი მონაწილეობით მოხდება. შესაძლოა, უბრალოდ, მეტი გავლენის მქონე იყოს, ვიდრე ვინმე სხვა იმ პოლიტიკურ ჯგუფში, რომლის გადარჩენაც მას სურს," — აცხადებს პოლიტოლოგი **სოსო ცისკარიშვილი.**

ციტნე პაატაშვილი

რაში სდებს ბრალს ქუთაისის საკრებულოს „ნაციონალი" წევრი საკრებულოს თავმჯდომარეს?

ქუთაისის საკრებულოს „ნაციონალი" დეპუტატი გია გოქაძე საკრებულოს თავმჯდომარესა და რამდენიმე დეპუტატს ქუთაისში არსებული ქონების უკანონოდ გასხვისებაში ადანაშაულებს. მისი თქმით, მარგველაშვილი ფრაქცია „პატრიოტებისა" და ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარეებთან ერთად უკანონოდ ფლობს უძრავ ქონებას.

„ბ.ს.ფოტო" ©

გია გოქაძე

„ბ.ს.ფოტო" ©

თამაზ მარგველაშვილი

„მარგველაშვილი, ნემსიწვერიძე და მღვდელაძე, ეს სამი ადამიანი იღებს გადაწყვეტილებებს ქუთაისის საკრებულოში და მე არ გამოვრიცხავ, რომ სწორედ მათ გადაეცათ ბოლო დროს გასხვისებული 4 მიწის ნაკვეთი. გარდა ამისა, 25 და 30-წლიანი იჯარით ხდება მიწის ნაკვეთების პრივატიზება ძალიან დაბალ ფასებში და ამაზე არავინ რეაგირებს," — ამბობს **გოქაძე.**

დეპუტატმა ასევე ისაუბრა ქუთაისის მერის პოსტზე შოთა მურღულიას შესაძლო დანიშვნასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ ქუთაისში თბილისელი კადრები არ უნდა ინიშნებოდნენ.

ქუთაისის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის" დეპუტატის გია გოქაძის ბრალდებებს პასუხობს თამაზ მარგველაშვილი. საკრებულოს თავმჯდომარის თქმით, ბრალდებები, რომელიც მისი მისამართით ისმის, უსაფუძვლოა.

„მე ვერ გავაკონტროლებ გია გოქაძის აზროვნებას და მის კომენტარებს. მას შეუძლია, ნებისმიერი რამ თქვას. რაც შეეხება უძრავი ქონების გასხვისებას, კანონში პირდაპირ წერია, რომ საკრებულოს აქვს უფლება პირდაპირი წესით გააიჯაროს ტერიტორია. ჩვენ დროებით სარგებლობაში გადავეცით ეს მიწის ნაკვეთები დროებით მფლობელებს, რომლებიც მოუვლიან ამ ტერიტორიებს," — აცხადებს **თამაზ მარგველაშვილი.**

მარგველაშვილი ასევე უარყოფს გოქაძის ბრალდებებს იმის შესახებ, რომ უძრავ ქონებას საკრებულოს დეპუტატები უკანონოდ ითვისებენ.

შეგახსენებთ, რომ გია გოქაძემ სპეციალურ ბრიფინგზე საკრებულოს თავმჯდომარე ქალაქის ტერიტორიაზე 4 მიწის ნაკვეთის უკანონოდ გასხვისებაში დაადანაშაულა, მაშინ, როცა, მისი თქმით, იჯარით კანონის დაცვით გაცემის შემთხვევაში ბიუჯეტში მინიმუმ 250 ათასი ლარი შევიდოდა. გოქაძე ასევე აცხადებს, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთებს საკრებულოს თავმჯდომარესთან ერთად ფრაქცია „ქართული ოცნებისა" და „პატრიოტების" დეპუტატები ფლობენ.

მარიამ პატარაია

რა მოგვცა „ქართული ოცნების" ერთწლიანმა ოცნებამ?

საპრეზიდენტო არჩევნებმაც ჩაიარა და ქვეყანა „თანამოწესრიგების" პროცესშია. პრემიერობიდან ჯერ არ წასული ბიძინა ივანიშვილი ამჯერად ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებას „გამჭვირვალე კულისებს მიღმა დააკვირდება. მისმა დაანონსებულმა პოლიტიკურმა ცხოვრებამ ორი წლის ნაცვლად, ერთი წელი იარსება. სამოქალაქო სექტორში გადასულმა პროკურორიც თან „გადაიყოლა" და დღეს არჩილ კბილაშვილის პროფესიულ სისუსტეებზე პოზიციაც და ოპოზიციაც ერთხმად საუბრობს.

ქვეყნის პრემიერობას მალევე ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი, ახალგაზრდა ირაკლი ღარიბაშვილი გადაიბარებს. თვალნათელია, რომ ამ სიტუაციაში სამთავრობო ლიდერების პოზიციები სადღაც იკვეთება. აღსანიშნავია თუნდაც ის ფაქტი, რომ ჯერ არდანიშნული პრემიერი ღარიბაშვილი მინისტრების შერჩევაშია. თუნდაც მომავალი მთავარი პროკურორის დასახელება ისე, რომ ამის შესახებ ინფორმირებული არც იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი და არც პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი არ არიან. მაშინ, როცა სწორედ რომ იუსტიციის მინისტრის პრეროგატივაა ქვეყანაში მთავარი პროკურორის დანიშვნა-არდანიშვნის საკითხი. უცხოეთში მყოფმა პარლამენტის თავმჯდომარემ პროკურორის და შინაგან საქმეთა მინისტრის დასახელების ამბავი ჟურნალისტებისგან შეიტყო და გაკვირვებაც ვერ დამალა.

აი, სწორედ აქ იკვეთება ზღვარი აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოს შორის. საკითხავია, რა ფუნქცია აკისრია დღეს საკანონმდებლო ორგანოს, თუ ჯერ კიდევ დაუმტკიცებელი პრემიერი მომავალ მინისტრთა კაბინეტს აკომპლექტებს. თვალნათელია, რომ „ნაციონალური მოძრაობის" ახალგაზრდული საკადრო პოლიტიკა „ქართულ ოცნებაშიც" გრძელდება.

***

„გაღარიბებული" საბიუჯეტო განხილვა საკმაოდ ხმაურიანია პარლამენტში. აქ უკვე კოჰაბიტაციურ რეჟიმზეა საუბარი. ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით საგანელიძეც საუბრობს. „დამთავრდა კოჰაბიტაცია, თუმცა ნაშთი მაინც რჩება მომავალ არჩევნებამდე". ბიუჯეტის განხილვისას სადავო ჩანდა 2014 წლის ხელფასების მომატების საკითხი. დაველოდოთ „ქამრების მოჭერის" პოლიტიკას, რომელიც ამ ფონზე გარდაუვალია.

რა მოგვცა „ქართული ოცნების" ერთწლიანმა ოცნებამ?.. ფართო საზოგადოებისთვის პასუხი თითქოს რთულია, მაგრამ ამავე დროს მარტივი.

ამერიკულმა კოჰაბიტაციამ თითქოს შედეგი გამოიღო და ერთ დროს გადამტერებული ორი პოლიტიკური ძალა შეუმჩნევლად, მაგრამ ერთმანეთს მაინც „ჩაახუტა" („ნაციონალური მოძრაობა", „ქართული ოცნება").

ვერ ვიტყვით, ე.წ. კოჰაბიტაცია თვალშისაცემი სად არის, საკანონმდებლო თუ აღმასრულებელ ორგანოებში, მაგრამ ცხადია, რომ „თანაარსებობას თუ თანამზრახველობას" ქართული პოლიტიკური ცხოვრება ჩიხში შეჰყავს.

გასული წლის შემოდგომაზე, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ამა წლის საშემოდგომო და საპრეზიდენტო არჩევნებმაც მშვიდობიანად ჩაიარა. ქვეყნის სათავეს ფილოსოფოსი გიორგი მარგველაშვილი ჩაუდგა, რომელიც თვლის, რომ საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა „განსაკუთრებული" იქნება. ჯერ კიდევ ინაუგურაციამდე მიცემულმა მისმა ინტერვიუმ რუსეთის პირველი არხის გადაცემა „ვოსკრესენია ვრემიასთვის" დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

საპარლამენტო უმცირესობის წევრი დავით დარჩიაშვილი „პრაიმტაიმის" პრესკლუბში მიცემულ ინტერვიუში აცხადებს: „ჩვენი ახალი პრეზიდენტი თავის პირველ ინტერვიუს აძლევს რუსეთის წამყვან არხს. ნეგატიური ის არის, რომ ქართულ-რუსული ურთიერთობების წითელ ხაზად მან პუშკინის ვიზიტი დახატა, როგორც ჩანს, პუშკინის ვიზიტიდან აბაშიძის კარასინთან შეხვედრამდე საქართველო რუსეთს შორის ცუდი არაფერი მომხდარა სააკაშვილის გარდა".

დარჩიაშვილის აზრით, მარგველაშვილის ეს განცხადებები გამოხატავს ტონს და დისკურსს, რომელსაც პირობითად კრემლისადმი მაამებლობა შეიძლება ეწოდოს.

გიორგი მარგველაშვილი ამ ინტერვიუში რუსეთის პატრიარქის მილოცვაზეც საუბრობს:

„რუსეთის პატრიარქის მილოცვამ, ძალიან გამახარა. ეს იყო ხაზგასმა იმ ფაქტის, რომ ის იარები, რომლებიც შექმნეს პოლიტიკოსებმა, იმ ადამიანების მიერ უნდა შეხორცდეს, ვინც ორიენტირებულია კეთილმეზობლურ ურთიერთობებზე. ჩვენ გადავდგით შესაბამისი ნაბიჯები და განვაცხადეთ, რომ შევეცდებით, ჩვენი დიალოგი გადავიყვანოთ აგრესიული ურთიერთობებიდან რაციონალურ ჩარჩოში," — განაცხადა მარგველაშვილმა.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ინაუგურაციამდე პრეზიდენტის სასახლის გუმბათზე გულებიანი დროშა ააფრიალეს, თუმცა „ნაციონალური მოძრაობის" მესვეურებმა ამ ფაქტს ახალი კლიპის გადაღება დაუკავშირეს.

საშემოდგომო პოლიტიკური მარათონი უკვე პიკს უახლოვდება თავისი საპრეზიდენტო ინაუგურაციით.

ლიკა ჩახუნაშვილი

ვინ იქნება საქართველოს პირველი ლედი კონსტიტუციის მიხედვით?

ვინ იქნება საქართველოს პირველი ლედი? თუ მოქმედ პრემიერ-მინიტრს დავუჯერებთ, პირველი ლედი მომავალი პრემიერ-მინისტრის მეუღლე იქნება, საზოგადოების ნაწილმა კი ეს განცხადება სოციალურ ქსელებში ივანიშვილის მხრიდან პირველი ლედის დანიშვნად აღიქვა. რაც შეეხება ინაუგურაციის დროს პრეზიდენტის თანამგზავრის ადგილს, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, ტრიბუნაზე გიორგი მარგველაშვილი ფიცის დადების დროს მარტო იდგება.

მაკა ჩიჩუა

ნუნუ თამაზაშვილი

„პრეზიდენტი მარგველაშვილი ტრიბუნასთან იდგება სრულიად მარტო, რადგან გათვალისწინებული არ არის მის გვერდით სხვისი დგომა. მაშინ, როდესაც ის დადებს ფიცს, წაიკითხავს თავის მისასალმებელ სიტყვას, ჩაიბარებს ჯარს და მთავარსარდლობას, სცენარით მის გვერდით არავის ყოფნა გათვალისწინებული არ არის. მისი მეუღლე იდგება საზოგადოებაში. უკვე ფიცდადებულ პრეზიდენტს ასევე არ ექნება საშუალება დაჯდეს. როგორც კი მორჩება პროცედურით გათვალისწინებული ფუნქციის შესრულებას, გმირთა მოედნისკენ გაემართება. მისი ოჯახის წევრები საპატიო ადგილას, მაყურებლებში იქნებიან," — განცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა **მაია ფანჯიკიძემ** გადაცემა „დიდ პოლიტიკაში."

როგორც ცნობილია, გიორგი მარგველაშვილი არ იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში და მისი თანამგზავრი მსახიობი და ხელოვანი მაკა ჩიჩუაა, რომლის წინააღმდეგაც უარყოფითი დამოკიდებულება საზოგადოებაში გიორგი მარგველაშვილის პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელებისთანავე აგორდა, ინტერნეტით მაკა ჩიჩუას პიკანტური ფოტოც კი გავრცელდა. როგორც მაშინ, საპრეზიდენტო არჩევნების დროს, გიორგი მარგველაშვილის შტაბის ხელმძღვანელმა შალვა რამიშვილმა ტელეკომპანია „ტვ 3"-ის ეთერში განაცხადა, გასაგებია, რომ მომავალი პრეზიდენტისა და მაკა ჩიჩუას ურთიერთობები ინტერესის საგანია, თუმცა „ამომრჩევლებს არანაირი თხოვნების, მოთხოვნებისა და სურვილების უფლება და კომპეტენცია არ გააჩნიათ."

„როდესაც გიორგიმ თქვა, რომ ის არ აპირებს, არჩევნების წინ ოჯახი შექმნას, მან იგულისხმა შემდეგი რამ – მის და მაკას ურთიერთობებს ბუნებრივი განვითარების გზა აქვს, მათ ერთმანეთი უყვართ და, შესაბამისად, მათი გადასაწყვეტია, როდის, როგორ, რანაირად გააფორმებენ ამ ურთიერთობებს. ეს თავისუფალი, სიყვარულზე დაფუძნებული ურთიერთობებია, რომელშიც გასაგებია ჩვენი — ამომრჩევლების, ქვეყნის ინტერესი, მაგრამ ეს ინტერესად უნდა დარჩეს და არანაირი თხოვნების, მოთხოვნებისა და სურვილების უფლება და კომპეტენცია არ გაგვაჩნია," — აცხადებს **რამიშვილი.** ამასთან, რამიშვილი მაკა ჩიჩუას წინააღმდეგ აგორებულ „შავი პიარში" „ნაციონალური მოძრაობის" კვალს ხედავდა.

„რაც გაკეთდა ეს არ იყო ჩვეულებრივი აპოლიტიკური მოქალაქეების გაკეთებული, მე ვთხოვ ყველას, რომ ეს განიხილოს როგორც „ნაციონალური მოძრაობის" პოლიტიკური ბრძოლის ელემენტი, რომელმაც, რა თქმა უნდა, ვერ გაამართლა. „ნაციონალურ მოძრაობა" არაერთგვაროვანია, არის ბნელი ნაწილი და – ნაკლებად ბნელი. შტაბს ნაკლებად ბნელი ნაწილი ხელმძღვანელობდა და ჩემთვის, როგორც „პიარშიკისთვის" სამწუხაროდ, მათ ეს არ გამოიყენეს და არ გაუშვეს, თორემ იმ მხარდამჭერებს დაკარგავდნენ, რომლებიც მათ ევროპულობის, ან ლიბერალურობის, ან თავისუფლებისთვის უჭერენ მხარს," — განაცხადა საპრეზიდენტო კამპანიის დროს **შალვა რამიშვილმა.**

არჩევნებში გამარჯვების შემდეგ...

„ირაკლის ჰყავს ძალიან კარგი მეუღლე, ჰყავს კარგი ოჯახი, და არ შემიძლია ხაზი არ გავუსვა იმ არაჩვეულებრივ ფაქტს, რითაც მე ხშირად ვამაყობ: სკოლის მერხიდან უყვართ მას და მის მეუღლეს ერთმანეთი, სკოლის მერხიდან, ეს ჩემთვის უნიკალურია, ძალიან ღირსეული პირველი ლედი ეყოლება საქართველოს, ძალიან ტრადიციული ოჯახი შემქმნელი და ძალიან დამსახურებული, ესე ვთქვათ," — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ბიძინა ივანიშვილმა** ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერ-მინისტრის კანდიდატად წარდგენისას.

თუმცა, საზოგადოების ნაწილმა ბიძინა ივანიშვილის მხრიდან ოჯახურ ღირებულებებზე ხაზგასმამ და ასეთ კონტექსტში მომავალი პირველი ლედის როლში მომავალი პრემიერის მეუღლის დასახელებამ, უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული კომენტარებით თუ ვიმსჯელებთ, პრემიერის მიერ ნათქვამი ფრაზა — „ღირსეული პირველი ლედი გეყოლებათ" — მაკა ჩიჩუას დამცირებად აღიქვა. როგორც სოციალურ ქსელში ხუმრობდნენ, ბიძინა ივანიშვილმა პირველი ლედიც დაგვინიშნაო.

ვინ იქნება პირველი ლედი კონსტიტუციის მიხედვით?

„პირველ რიგში, ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ ცნებები — სახელმწიფოს მეთაური და მთავრობის მეთაური. ახალი კონსტიტუციური ცვლილებების თანახმად, პრემიერ-მინისტრი მთავრობის მეთაური არის და არა სახელმწიფოს მეთაური. სახელმწიფოს მეთაური კი კვლავ პრეზიდენტია. შესაბამისად, პირველი პირი ცალსახად იქნება არჩეული პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, ხოლო ე.წ პირველი ლედი კი ცალსახად იქნება პრეზიდენტის პარტნიორი, მაკა ჩიჩუა" — ამბობს იურისტი **თამარ გურჩიანი** „ნეტგაზეთთან" საუბრის დროს. მისივე თქმით, პრემიერს უნდა ესმოდეს კონსტიტუციის მნიშვნელობა და ასეთ კონტრავერსიულ განმარტებებს არ უნდა აკეთებდეს. პრემიერ-მინისტრის კანდიდატის წარდგენისას მის მიერ ოჯახურ ღირებულებებზე გაკეთებული აქცენტები სხვა არაფერი გახლდათ, თუ არა კონსტიტუციის არასწორი ინტერპრეტაციის ლეგიტიმაცია, რისი უფლებაც არავის აქვს.

„მსოფლიოში არსებობს ბევრი მაგალითი, როცა სახელმწიფოს მეთაურის პარტნიორი, ქალი თუ მამაკაცი, ისეთივე სტატუსით სარგებლობს, როგორც ოფიციალურ ქორწინებაში მყოფი მეუღლე. სირცხვილია, რომ მოქმედ პრემიერ-მინისტრს უნდა მოვუწოდოთ კონსტიტუციის პატივისცემისკენ," — ამბობს **თამარ გურჩიანი**. მისივე აზრით, მოქმედი პრემიერ-მინისტრის მცდელობა, ოჯახურ ფასეულობებზე აპელირებით დაჩრდილოს ქვეყნის უზენაეს კანონში გაცხადებული პრინციპი, არა მხოლოდ კონსტიტუციის არასწორი ინტერპრეტაციის, არამედ ამომრჩევლის ნების შეურაცხყოფის რისკსაც მოიცავს.

ცნობისთვის: ტერმინი „პირველი ლედი" პირველად აშშ-ში 1849 წელს, პრეზიდენტმა ტეილორმა გამოიყენა. მან ასე მოიხსენია მე-4 პრეზიდენტის ჯეიმს მედისონის მეუღლე, დოლი მედისონი. თუმცა ეს „პირველი ლედი" ოფიციალურად 1877 წლის შემდეგ დამკვიდრდა. ჟურნალისტმა მეირ ეიმსმა პრეზიდენტ რუტერფორდ ჰეიზის ინაუგურაციისას, ასე უწოდა პრეზიდენტის მეუღლეს, ლუსი უებ ჰეიზს.

ციტნე ჰაატაშვილი
psnews.ge

ირაკლი ღარიბაშვილს და მის მთავრობას პარლამენტი ნდობას, სავარაუდოდ, 20 ნოემბერს გამოუცხადებს

პრემიერ-მინისტრის პოსტზე ირაკლი ღარიბაშვილს და მის მთავრობას ნდობას პარლამენტი, სავარაუდოდ, 20 ნოემბრის რიგგარეშე სხდომაზე გამოუცხადებს. პარლამენტის რიგგარეშე სხდომის მოწვევის თხოვნით პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი მომავალ კვირას პრეზიდენტ მარგველაშვილს მიმართავს. მთავრობის დამტკიცების გეგმებთან დაკავშირებით უსუფაშვილმა განმარტებები პლენარულ სხდომაზე გააკეთა.

ირაკლი ღარიბაშვილი

„აღნიშნულ საკითხს შევაჯერებთ პრეზიდენტთან და მთავრობასთანაც. რეგლამენტი გარკვეულ პროცედურებს ითვალისწინებს, როცა უმრავლესობის მიერ შერჩეული და პრეზიდენტის მიერ პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად წარდგენილი პიროვნება მთავრობას შეადგენს და პარლამენტს წარმოუდგენს. იმ მომენტიდან პარლამენტის ბიურო უნდა შეიკრიბოს და დაადგინოს პარლამენტის კომიტეტებში, ფრაქციებში, უმრავლესობაში, უმცირესობაში მთავრობის პროგრამის განხილვის გრაფიკი. შემდგომ განხილვის შედეგები ბიუროს სხდომაზე უნდა შეჯამდეს. ბიუროს სხდომის მომდევნო დღეს შესაძლებელია, პლენარულ სხდომაზე მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება. კონსტიტუცია ამ თვალსაზრისით გარკვეულ ვადებს გვაძლევს — ახალი პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის წარმოდგენიდან შვიდ დღეში პროცედურები უნდა დავასრულოთ. შვიდი დღე არის მაქსიმუმი, თუმცა ეს შეიძლება სამ-ოთხ დღეში დასრულდეს. ამიტომ, ალბათ, ოთხშაბათს მოგვიწევს პლენარული სხდომის გამართვა," — განაცხადა **დავით უსუფაშვილმა.** მისივე თქმით, სავარაუდოდ, მომავალ კვირას ორი რიგგარეშე სხდომა გაიმართება, სადაც კენჭს უყრიან განხილულ კანონპროექტებს და გააგრძელებენ განსახილველ პროექტებზე მუშაობას.

საგარეჯოში გამგებელსა და მაჟორიტარს უპირისპირდებიან

თინა ხიდაშელი

სოციალურ ქსელში ბოლო დროს აქტიურად ვრცელდება განცხადება, რომელიც ხელმოწერილია, დაახლოებით, 600 ადამიანის მიერ. განცხადებაში აღნიშნულია, რომ „გასული 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მიღწეული გამარჯვების შემდეგ ჩვენი რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის, თინა ხიდაშელის წარდგინებითა და რაიონის საკრებულოზე სერიოზული ზეწოლის შემდეგ, რაიონის გამგებლად დაინიშნა საზოგადოებისათვის სრულიად უცნობი ახალგაზრდა, გამოუცდელი პიროვნება გიორგი ლოლაძე. გავითვალისწინეთ რა თინა ხიდაშელის ავტორიტეტი პოლიტიკური გამოცდილება, პრინციპულობა და ობიექტურობა, წინააღმდეგობა არ გავუწიეთ გიორგი ლოლაძის გამგებლად დანიშვნაში, პირიქით, ერთსულოვანი მზადყოფნა გამოვთქვით, ყოველგვარი მხარდაჭერა აღმოგვიჩინა ახალგაზრდა პიროვნებისათვის, მაგრამ მან გამგეობაში მისვლისთანავე შემოიკრიბა თანაკლასელი, თანაჯგუფელი თუ სხვა მეგობრული ურთიერთობებით დაკავშირებული ადამიანები და ძალიან მალე ისინი გაერივნენ ფინანსურ მაქინაციებში, რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა და დიდი უარყოფითი გავლენა მოახდინა რაიონის მოსახლეობაზე."

„ქართული ოცნების" საარჩევნო შტაბის წევრები აცხადებენ, რომ გიორგი ლოლაძე უპასუხისმგებლოდ ეკიდებოდა მოსახლეობის მიერ დაყენებულ საკითხებს, ატარებდა არასწორ საკადრო პოლიტიკას და ფინანსურ მაქინაციებშიც გაეხვა. ამის გამო მაჟორიტარს შეხვდნენ და პრეტენზიები განუცხადეს ლოლაძის მისამართით, რაზედაც ასეთი პასუხი მიიღეს: „ან გიორგი ლოლაძე იქნება გამგებელი და რაიონში წამოვა ინვესტიციები, წინააღმდეგ შემთხვევაში რაიონში არაფერი არ გაკეთდება!"

კოალიცია „ქართული ოცნების" საგარეჯოს საოლქო საარჩევნო შტაბისა და აქტივის წარმომადგენლები თინა ხიდაშელს გამგებლის ლობირებაში ადანაშაულებენ და ამასთანავე, იხსენებენ, რომ ლოლაძის მიმართ იყო აღძრული საქმე, რომელიც პროკურატურამ საეჭვოდ შეწყვიტა.

აღნიშნულზე ჟურნალისტური მოკვლევისათვის საგარეჯოში ჩასულ სოფო მთივლიშვილს (კახეთის საინფორმაციო ცენტრი) ხელი შეუშალეს პროფესიული საქმიანობის განხორციელების დროს (დაუზიანეს კამერა).

იმის გამო, რომ ამჟამად თინა ხიდაშელი ევროპაშია მივლინებით, დავუკავშირდით აღნიშნულ საკითხზე ხიდაშელის თანაშემწეს, ქალბატონ ნათია ქობალიას, რომელმაც აღნიშნულზე განაცხადა, რომ პროკურატურამ ლოლაძის მიმართ სამართლებრივი დევნა შეწყვიტა მისი უდანაშაულობის გამო, ხოლო ახლა დაწყებული გამგებლის საწინააღმდეგო აქციის ორგანიზატორები არიან ის ადამიანები, რომლებმაც ვერ მიიღეს თანამდებობები.

როლანდ ხოჯანაშვილი

ქუთაისში გამოცხადებულ ტენდერებზე მიღებული ეკონომია 7 მილიონ ლარზე მეტია

რატომ გამოუცხადეს შემსრულებლებმა ტენდერებს ბოიკოტი ქუთაისში?

ქუთაისის მერიის კეთილმოწყობისა და შესყიდვების სამსახურების უფროსებმა, ქუთაისის ვიცე-მერთან ერთად, მუშაობის 10-თვიანი ანგარიში შეაჯამეს. მათი განცხადებით, დადის ჭორები იმის შესახებ, რომ რეგიონული განვითარების ფონდის მიერ გამოყოფილი 10 მილიონი ლარის ათვისება ვერ ხდება.

შესყიდვების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, **ზურაბ გაბიძაშვილის** თქმით, 2013 წელს გამოცხადებული ტენდერები, წინა წლებთან შედარებით, 40 ერთეულით მეტია. მიმდინარე წლის 15 ნოემბრის მდგომარეობით, 247 ტენდერი გამოცხადდა, აქედან 221-ზე დადებულია ხელშეკრულება, 6 ტენდერზე მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება, ხოლო 22 ტენდერი ნოემბრის ბოლომდე ჩატარების პროცესშია. 2012 წელთან შედარებით, დღევანდელი მდგომარეობით, გამოცხადებულ ტენდერებზე მიღებული ეკონომია 427 პროცენტით მეტია, ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში 5 მილიონ ლარზე მეტი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტში, დაახლოებით, 2 მილიონი ლარია დაზოგილი, სულ დაზოგილია 7 364 488 ლარი.

ქუთაისის ვიცე-მერმა, თენგიზ თოფურიძემ იმ პრობლემებზე ისაუბრა, რამაც ტენდერების დაგვიანება გამოიწვია. მისი თქმით, ინფრასტრუქტურული ბლოკის ახალი ხელმძღვანელი პირები მუშაობას ივლისის თვეში შეუდგნენ. ამ დროისათვის კი მომზადებული მხოლოდ 35-მდე ქუჩის პროექტი იყო.

„პირველსავე კვირაში გამოვაცხადეთ საპროექტო კონკურსი. მიუხედავად იმისა, რომ საკონკურსო პირობები გამარტივებული იყო, საპროექტო ორგანიზაციები კონკურსზე არ შემოვიდნენ, რამაც გამოიწვია საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს იყო ბოიკოტი. ტენდერების პირობები არ არის მორგებული ერთ კონკრეტულ მომწოდებელზე, არამედ გათვალისწინებულია რეალურ შემსრულებელზე. ჩვენ მოვითხოვთ ყოველკვირეულ გეგმა-გრაფიკებს, რომლის დარღვევის შემთხვევაში შემსრულებლების მიმართ გამოიყენება საჯარიმო სანქციები. ჩვენ დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ რეგიონული განვითარების ფონდის მიერ გამოყოფილი 16 მილიონი ლარის უდიდესი ნაწილი წლის ბოლომდე ათვისებული იქნება," – აცხადებს **თენგიზ თოფურიძე.**

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

„P.S. ფოტო" (ნესტან ჩაგელიშვილი) ©
თენგიზ თოფურიძე

ეკლესია საზღვრებში – რატომ იყო იესო ქრისტე პირველი სეკულარისტი?

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის, სამხრეთ კავკასიის ბიუროს მორიგი დებატები გაიმართა ქუთაისის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში. რადიო „ძველი ქალაქის" ორგანიზებით ჩატარებული დისკუსიის თემა იყო: „ვის ეშინია სეკულარული საზოგადოების?"

დებატებზე მომხსენებლებმა სახალხო დამცველთან არსებული „ტოლერანტობის ცენტრის" ხელმძღვანელმა ბექა მინდიაშვილმა და „ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის" პროგრამების დირექტორმა ლინა ღვინიანიძემ სეკულარიზმის მნიშვნელობაზე, მის საწყისებსა და ქართული ეკლესიის შეურყეველ ავტორიტეტზე, როგორც სეკულარიზმის ხელისშემშლელ უმთავრეს ფაქტორზე ისაუბრეს.

მომხსენებელთა თქმით, სეკულარიზმი, ანუ ეკლესიისა და სახელმწიფო ძალაუფლების გამიჯვნის იდეა, საქართველოში, ჯერჯერობით, მიუღებელია, რადგან მოსახლეობის დიდი ნაწილი უპირობოდ მიიჩნევს, რომ ეკლესია სახელმწიფოს მართვაში გადამწყვეტ როლს უნდა თამაშობდეს. მთავრობები კი, რომლებიც ასევე ექცევიან ეკლესიის გავლენის ქვეშ, ხელს უწყობენ ქვეყანაში სასულიერო ძალაუფლების განმტკიცებას.

მათი თქმით, სასულიერო და საერო ძალაუფლების გამიჯვნა არ ნიშნავს ეკლესიის დაკნინებას, არამედ სახლმწიფოს მართვაში მის ჩაურევლობას გულისხმობს. საზოგადოება კი ეკლესიის „ საზღვრებში მოქცევის" აუცილებლობას მხოლოდ დემოკრატიულ გარემოში შეიგრძნობს. შესაბამისად, სეკულარიზმი ჩნდება იქ, სადაც მეტია დემოკრატია.

თუმცა, სეკულარიზმის საფუძვლებს მომხსენებლები გაცილებით უფრო ღრმად, მმართველობის დემოკრატიული საწყისების გაჩენამდე ხედავენ, მანამ, ვიდრე სეკულარიზმის მნიშვნელობას საზოგადოება გააცნობიერებდა. ისინი მიიჩნევენ, რომ პირველი სეკულარისტი არათუ სახელმწიფოს მმართველი, ან სასულიერო პირი, ან რაიმე თეორიის ავტორი, არამედ იესო ქრისტე იყო.

„კეისარს მიეცით კეისრის, ღმერთს ღმრთისა! — თქვა იესომ" — ამბობს ბექა მინდიაშვილი და მიაჩნია, რომ სწორედ იესო ქრისტე იყო ის, ვინც ეკლესია და სახელმწიფო ერთმანეთისგან გამიჯნა. მისივე თქმით, იესო იყო ასევე პირველი, ვინც პიროვნება გამიჯნა კოლექტივისგან და ინდივიდუალიზმის ცნება შემოიტანა ადამიანის ცნობიერებაში.

რაც შეეხება სახელმწიფოსა და რელიგიის გამიჯვნის აუცილებლობის გააზრებას, ეს პროცესი მომხსენებელთა თქმით, საკმაოდ გვიან, შუასაუკუნეების ევროპაში მოხდა, მაშინ, როცა ლიბერალიზმი ღრმად შეიჭრა თითოეული ევროპელის ცნობიერებაში. სწორედ ლიბერალური დემოკრატიის განვითარებამ შეუწყო ხელი საზოგადოების მიერ სეკულარიზმის საჭიროების გაცნობიერებას. მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციულ ევროპაში რთული იყო სეკულარიზმს გაერღვია ერთმანეთს მჭიდროდ გადაჯაჭვული ძალაუფლების ორი მცნება – ეკლესია და სახელმწიფო, საზოგადოება თავად აღმოჩნდა ეკლესიის გავლენის შემცირების აუცილებლობის წინაშე.

რას ვსწავლობთ ჩვენ ევროპისგან და როგორ პასუხობს ქართული საზოგადოება დემოკრატიის განვითარების გზაზე არსებულ გამოწვევებს? გადის თუ არა ეკლესიაზე თავისუფალი აზროვნების წითელი ხაზი და არის თუ არა სახელმწიფო ეკლესიის ავტორიტეტის წინაშე უძლური?

მომხსენებლებმა საქართველოში საპატრიარქოს მიმართ მონურ მორჩილებასა და ეკლესიის ავტორიტეტის გავლენით სახელმწიფოს მიერ წინასწარგააზრებულ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებზე კონკრეტული მაგალითებით ისაუბრეს.

მათი თქმით, ქართულმა ეკლესიამ საკუთარი ძალა ყველაზე მკაფიოდ 2013 წლის 17 მაისს აჩვენა, მაშინ, როცა სასულიერო პირები ძალისმიერი მეთოდებით ცდილობდნენ განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანებისთვის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას. ლინა ღვინიანიძის თქმით, ამ დღეს გამოვლინდა არა მხოლოდ ქართული ეკლესიის მონოპოლისტური ძალაუფლება, არამედ საზოგადოების დიდი ნაწილის იდენტობა, რომელიც მჭიდროდაა გადაჯაჭვული მართლმადიდებლობასთან.

მომხსენებლთა თქმით, დასკვნა, რომელიც პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა 17 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით შეიმუშავა, კანონის არცერთ ჩარჩოში არ ჯდება, რადგან დასკვნის უდიდესი ნაწილი დათმობილი აქვს იმის მტკიცებას, რომ სასულიერო პირებს აქვთ თავიანთი აზრის გამოხატვის უფლება, მაშინ, როცა 17 მაისს ცალსახა იყო რელიგიური უმცირესობების უფლებების დარღვევა.

„უძლურია სახელმწიფო, მაშინ, როცა საქმე ეხება ეკლესიას. არანაირი პოლიტიკური ბერკეტი არ გააჩნია მას რელიგიურ ნიადაგზე კონფლიქტების დასარეგულირებლად. სახელმწიფო არა მხოლოდ არაადეკვატურია, არამედ ნათელი მესიჯებიც კი არ შეუძლია გაუგზავნოს საზოგადოებას, როცა სახეზეა რელიგიური დისკრიმინაცია. არც ერთი ადამიანი არ დასჯილა, როცა სოფელ ჭელაში მუსულმანების სალოცავიდან მინარეთი მოხსნეს. იმდენად უძლურია სახელმწიფო ეკლესიის წინაშე, რომ მას არათუ კონფლიქტის განეიტრალება, არამედ კონფლიქტში მონაწილეთა უფლებების დაცვაც არ შეუძლია," – მიაჩნია **ლინა ღვინიანიძეს.**

მომხსენებელთა თქმით, საქართველოში სეკულარიზმს სამი კონკრეტული მტერი ჰყავს, ესენია: საპატრიარქო, ადამიანები, რომლებიც პოპულარიზაციას უწევენ საპატრიარქოს და დემოკრატიული მონარქიის მომხრეები, რომლებიც, თავის მხრივ, უპირისპირდებიან ლიბერალურ დემოკრატიას. ლიბერალური დემოკრატიის არარსებობის პირობებში კი როგორც წესი ეკლესია სახელმწიფოს მთავარ წარმმართველ ძალად იქცევა.

მარიამ პატარაია

„კასტრაციის კომპლექსში ჩარჩენილი ერი“ – უჩვეულო ლექცია ქუთაისში

„ჩვენ ვართ კასტრაციის კომპლექსში ჩარჩენილი ერი“ — აღნიშნა ფსიქოლოგმა მამუკა გელაშვილმა, რომელმაც ღია ლექცია, უჩვეულო გარემოში, კაფე „ფოე-ფოეში“ წაიკითხა. ლექციის თემა იყო: სოციუმისა და პიროვნების ურთიერთიდენტიფიკაციის და ადაპტაციის პრობლემა. ფსიქოლოგმა იმ პრობლემებზე ისაუბრა, რასაც ადამიანი დღიდან დაბადებისა, მთელი არსებობის მანძილზე აწყდება. ფსიქოლოგმა იმ მიზეზებზე გააკეთა აქცენტი, რაც ხშირად გადამწყვეტი ფაქტორია პიროვნების გარემოსთან ადაპტაციის კუთხით. ლექციის მსვლელობისას არაერთხელ აღნიშნა, რომ შიში, როგორც გრძნობა, ყველაზე დიდი ნაკლი და არასრულფასოვნების კომპლექსია. „მისი მსჯელობა, ვისაც ეშინია, სამართლიანი არ არის“ — აღნიშნა მომხსენებელმა ლექციის დასასრულს.



„P.S.ფოტო“ ©

მამუკა გელაშვილის ლექციისას

ლექციის უჩვეულობა იმაში გამოიხატებოდა, რომ მხოლოდ მცირე სეგმენტზე არ იყო გათვლილი, არამედ იმ ნებისმიერ ადამიანზე, ვინც კაფეში სულ სხვა მიზნით შევიდა, თუმცა, უჩვეულო გარემოში აღმოჩნდებოდა, რაც არის ადაპტაციის და კომუნიკაციის კარგი მაგალითი. კაფეში მყოფ საზოგადოებას ლექციაში ჩართვის საშუალება ჰქონდა.

ავტორმა პროექტს სიმბოლურად სახელი თავისი ცხოვრების ისტორიის მიხედვით შეურჩია და „აბრეშუმი“ უწოდა, „მამაჩემი მუშაობდა ქუთაისის აბრეშუმკომბინატში და 90-იან წლებში, როცა მთლიანად განადგურდა ეს ფაბრიკა, ნაწილ-ნაწილ გაიყიდა — მამამ ახალ რეალობაში ადაპტაცია ვერ მოახერხა და მერე დაიღუპა კიდეც...“

„თავდაპირველად, გადაწყვეტილი გვქონდა, პროექტის ფარგლებში ლექციები ყოფილი აბრეშუმის ქარხანაში ჩაგვეტარებინა, მაგრამ მივხვდი, რომ იქ მხოლოდ სპეციალურად მოწვეული ადამიანები მოვიდოდნენ. ჩვენ კი გვინდოდა, ეს ლექციები მშრალი არ გამოგვსვლოდა, ამიტომ გადავწყვიტე, ამ ყველაფრისთვის ღია სახე მიგვეცა და ადამიანი, რომელიც დასასვენებლად შემოვიდოდა კაფეში, შემთხვევით აღმოჩნდებოდა ლექციაზე, რაც კომუნიკაციის კარგი საშუალებაა. ვფიქრობთ, რომ ლექციამ თავისი მისია მეტ-ნაკლებად შეასრულა.

რაც შეეხება თემას პირადი ბიოგრაფიიდან ამოვედი. მამა მუშაობდა აბრეშუმის ქარხანაში, რომელსაც ახლა პირვანდელი ფუნქცია აღარ აქვს და სადაც 30 კერძო კომპანიაა შესული. დავიწყე კვლევა, როგორ ითვისებს ბაზარი არსებულ სივრცეს, რას ინარჩუნებს და რას კარგავს ქალაქი არქიტექტურის კუთხით. სამწუხაროდ, 90-იან წლებში სისტემის დანგრევის შემდეგ საერთოდ გაიქურდა და განადგურდა მსგავსი შენობები. ქალაქი გამოშიგნული და უფუნქციო დარჩა. ევროპაში ასეთ ფართებს ხელოვანები ითვისებდნენ, აძლევდნენ ახალ დანიშნულებას, რაც შემდგომ ხშირად ხდება ხოლმე ამ ქალაქების სავიზიტო ბარათი, რისი კულტურაც ჩვენთან არ არის.

ქართველ ხელოვანებს ამის გამოცდილება არ აქვთ. ჩემს ნაცნობ ბევრ უცხოელს აინტერესებს ეს ქალაქი, მაგრამ არ არის სივრცე, სადაც მუშაობა და კვლევა იქნება შესაძლებელი. სწორედ ესაა ჩვენი ლექციების მიზანი, მოვახერხოთ ადაპტაცია და არსებული არქიტექტურული რესურსი გამოვიყენოთ, რომ განვითარდეთ,“ — აღნიშნა პროექტის დირექტორმა **ნიკოლოზ ლუტიძემ.**

პროექტ „აბრეშუმის“ ფარგლებში, ქუთაისში, ნოემბერში რამდენიმე ლექცია გაიმართება, ბოლოს კი მოეწყობა დასკვნითი გამოფენა.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

უფასო განცხადებები

გაზეთი „P.S.“(„პოსტსკრიპტუმი“) გაცნობებთ

თქვენ შეგიძლიათ, ისარგებლოთ ჩვენი ახალი სერვისით - მცირე განცხადებების გამოქვეყნება უფასო განცხადების ტალონით!
ამ მომსახურების მისაღებად საკმარისია, გაზეთიდან ამოჭრათ სპეციალური ტალონი, დაწეროთ თქვენთვის სასურველი განცხადებისა თუ მილოცვის ტექსტი და მოგვაწოდოთ რედაქციაში (მისამართი: რუსთაველის 37 ა), ან დატოვოთ „პოპულში“ მდებარე წიგნების მაღაზია „ქიმერიონში“ ყოველი კვირის ხუთშაბათამდე (მისამართი: რუსთაველის 141).
ძვირფასო მკითხველო! შეგახსენებთ ასევე, რომ თქვენ შეგიძლიათ გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“ გამოიწეროთ და ბინაზე ან ოფისში მიიღოთ, ფასნამატის გარეშე, ან შეიძინოთ ქუთაისის ყველა საგაზეთო ჯიხურში და მარკეტში, მათ შორის „პოპულში“!
გაზეთის გამოწერისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონებზე: 24 45 46, 599 17 70 39.

იყიდება

● იყიდება 500 კვ.მ. 2-სართულიანი კაპიტალური სახლი, 10000 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, ხეხილით, ვენახით და სხვა.
მისამართი: თერჯოლის რაიონი, სოფელი ჭოგნარი, ქუთაისიდან 3 კილომეტრში.
ტელეფონი: 599 43 40 40

იყიდება ოროთახიანი გარემონტებული ბინა.
მისამართი: ბუხაიძის ქ. №22, მე-5 სართული.
ტელ.: 595 28 44 25; 25 77 09

● იყიდება 4-განყოფილებიანი რუსული მაცივარი ქუთაისში, რომელიც მუშაობს 0 გრადუს ტემპერატურაზე. ახალი გადაღებილი ნორმალურ მდგომარეობაში, დაზიანებული აქვს მხოლოდ მარჯვენა გვერდის მცირე ნაწილი კოროზიით. გასაყიდი ფასი 350 ლარი.
ტელეფონი: 558 76 93 46

● **სასწრაფოდ ვყიდი** 500-დან 1000 კმ-მდე მიწის ნაკვეთს სამოსახლოდ.
მისამართი: მახინჯაური, სათნოების ჩიხი 2, ბინა 9.
აღწერილობა:
მდებარეობს ზღვის სანაპიროდან 300 მეტრში, აქვს მისასვლელი გზა, სასმელი წყაროს წყალი, ზღვის ხედი.
ფასი: 500 კვმ — 25 000 აშშ დოლარი.
დამატებითი ინფორმაციისთვის დამიკავშირდით:
მობ.: 557 37 88 70

სასწრაფოდ იყიდება! 6000 კვ.მ. მიწის ნაკვთი ქუთაისის შესასვლელში. **ფასი:** 1კვ.მ – 2 ლარი
ტელ.: 431 25 53 12

უძრავი ქონება

● **გირავდება ან ქირავდება!** 26 კვ.მ. რუსთაველის 71-ში გირავდება ან ქირავდება.
ფასი: 10000 $
ტელ.: 577 92 19 02. **ნანა**

● **ქირავდება** ერთოთახიანი ბინა ქუთაისში ზვიად გამსახურდიას გამზირ №27/20 (სამტრედიის ხიდთან, ყოფილი გორის ქუჩა), VII სართული, ავეჯით, რემონტით, ტელეფონით, ლიფტით.
ტელ.: 26 44 08;
593 12 80 54 (ნანა)

გირავდება ორსართულიანი სახლის პირველი სართული (იზოლირებული), კეთილმოწყობილი, ყველანაირი კომფორტით. შესაძლებელია, გამოიყენოთ საოფისედ. ფართი მდებარეობს გზის პირზე.
მისამართი:
ქუთაისი, ნინოშვილის ქ. №183ა.
ტელეფონი:
27 32 27; 599 92 92 49 (გია).
ფასი 10 000$

● **ქირავდება!** 2-ოთახიანი. ქალაქური პრ. 3(9), 80 კვ.მ. გარემონტებული მ/წყალი, რკინის კარი, ავეჯით, ღია აივნებით.
მისასამართი: ქუთაისი, გუგუნავას ქუჩა №15, III კვ. I სად. (სასტუმრო „საქართველოს“ თავზე). **ფასი:** 350 ლარი
ტელ.: 595 58 40 64; 492 25 25 84. **ლიანა**

სხვადასხვა

● ვყიდი 100% ნატურალურ წაბლის თაფლს ქუთაისში, მაქვს ლაბორატორიული დამოწმებაც.
ტელეფონი: 598 11 30 70

● იყიდება 300 ცალი ცეცხლგამძლე აგური ქუთაისში. 1ცალი — 1 ლარი.
ტელეფონი: 599 07 40 47

მოვამზადებ

● მოვამზადებ სკოლამდელი და სკოლის ასაკის ბავშვებს ინგლისურ ენაში, ასევე უფროსი ასაკის ნებისმიერ მსურველს. აბიტურიენტებს — ინგლისური ენის ჩაბარების 100%-იანი გარანტიით.
ტელ.: 26 30 77
მისამართი: თაბუკაშვილის 28/4

● მოვამზადებ სკოლის მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს მათემატიკაში, უნარებსა და ფიზიკაში.
ტელ.: 555 3182 69

● **ამერიკელი პედაგოგი შეასწავლის ინგლისურ ენას.**
CELTA -ს მიერ სერთიფიცირებული ამერიკელი პედაგოგი შეასწავლის ინგლისურ ენას მაღალ დონეზე. მეცადინეობები ჩატარდება 3-4 კაციან ჯგუფებში. მეცადინეობებს დაეთმობა ერთი საათი, კვირაში 4 დღე. ერთი თვე — 80 ლარი.
ტელ.: 557 26 08 43

მისამართი: ქუთაისი, ნიკეას ქუჩა №37. მესამე სადარბაზო, მესამე სართული.

ვაკანსია

გაზეთი „P.S.“ („პოსტსკრიპტუმი“) აცხადებს ვაკანსიას **სარეკლამო აგენტის** თანამდებობაზე, მაღალი პროცენტული ანაზღაურებით.
ტელ.: 24 45 46,
599 107794

ყურადღება!
ვაკანსია ქუთაისში!

ქალაქის ცენტრში იხსნება ახალი საინტერესო კაფე. გვესაჭიროება მიმტანები (3 ვაკანსია), ბარმენი (1 ვაკანსია) ახალგაზრდა, ენერგიული, სიმპატიური, ნიჭიერი და შრომისმოყვარე ხალხი. (უცხო ენის ცოდნა სავალდებულოა). ასევე ცვლის მენეჯერი (1 ვაკანსია) და მზარეული. დამირეკეთ 579 90 61 15. გისურვებთ წარმატებებს.

უფასო განცხადების ტალონი

(განცხადების ღირებულება შედის გაზეთის ფასში)

უფასო განცხადების ტალონი ამოჭერით ტალონი, ჩაწერეთ შიგ თქვენი განცხადების ტექსტი, არაუმეტეს 20 სიტყვისა, მოგვაწოდეთ რედაქციაში მისამართზე: ქუთაისი, რუსთაველის გამზირი 37ა. ან დატოვეთ წიგნების მაღაზია „ქიმერიონში“ მისამართზე: ქუთასი, რუსთაველის გამზირი №141 („პოპული“).

კვირის ჰოროსკოპი

ვერძი: ეს კვირა წარმატებული იქნება, ამიტომ უკეთესია გადაწყვიტოთ საკამათო საკითხები. აკონტროლეთ ყველაფერი, განსაკუთრებით ფინანსური ოპერაციები.

კურო: შესაძლებელია, რადიოში მოსმენილი სიმღერა თქვენი საყვარელი გახდეს რაღაც დროით. იმდენად მოიხიბლებით მელოდიით, რომ ცოტა ხანში იგი გაჩნდება თქვენს მაღვიძარაზე, მობილურის ზარად და პლეერში პირველ სიმღერად.

ტყუპები: სამსახურში თავს შეუძლოდ იგრძნობთ, თან იქონიეთ წამლები და თბილი მოსასხამი. შესაძლოა, გაციება გეწყებათ, ამიტომ უხასიათოდ იქნებით.

კირჩხიბი: ცოტა მოდუნდით და დაისვენეთ, თორემ არ გეყოფათ დრო მნიშვნელოვანი პროექტის დასამთავრებლად.

ლომი: სახალხოდ შეგაქებენ სამსახურში, დიდი ხანია გინდოდათ თავის გამოჩენა ერთი პიროვნების წინაშე, ამ კვირაში გეძლევათ ამის შანსი.

ქალწული: დროა, საკუთარ მომავალზე დაფიქრდეთ. მალე ბევრი თავისუფალი დრო გამოგიჩნდებათ, თქვენ კიდევ ჯერ არც კი იცით რაში დახარჯოთ ის, სწავლა გააგრძელოთ, სამსახური ეძებოთ თუ დაისვენოთ.

სასწორი: თუ სუპერმარკეტში შეხვალთ, აუცილებლად იყიდეთ ის რისი გასინჯვაც დიდი ხანია გინდოდათ და ვერ ბედავდით. გაგიმართლებთ ფასითაც და გემოთიც კმაყოფილი დარჩებით.

მორიელი: თავს დაგატყდებათ ბევრი ახალი მოვალეობა. ბევრი თქვენი თანამშრომელი შვებულებაში მიდის, რის გამოც თქვენ ბევრი საქმის ერთად გაკეთება მოგიწევთ. ნუ მოიწყენთ ამის გამო, რადგან თქვენ სოლიდურ ჯილდოს მიიღებთ.

მშვილდოსანი: უმჯობესია, გადახედოთ საკუთარ შეხედულებებს და პრინციპებს. შესაძლებელია, ისინი განახლებას საჭიროებენ. შეეცადეთ სხვა კუთხით შეხედოთ ბევრ საკითხს, მაშინ მიხვდებით, რომ ყველაფერი არც ისე ცუდადაა.

თხის რქა: შეეცადეთ, მეტი სიახლე შეიტანოთ თქვენს ცხოვრებაში. მიეცით თავს გართობის უფლება, ელოდეთ სასიამოვნო ინფორმაციასა და საჩუქარს.

მერწყული: იქნებით ძალიან პირდაპირი. ნებისყოფას ნებისმიერი წვრილმანის გამო დაკარგავთ. გაგაღიზიანებთ როგორც შინაურების, აგრეთვე უცხო ადამიანების საქციელი. თავის შეკავებას არც კი გირჩევთ, რადგან მაინც ვერ შეძლებთ.

თევზები: სამომავლო საქმეები თამამად დაგეგმეთ. მეგობრების დახმარებით ბევრ რამეს შეძლებთ, მაგრამ ოჯახური საჭიროებისათვის ხარჯებიც არ დაახანებს.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 3. აბსცესი; 5. აბანო; 6. გნუ; 8. აცე; 9. მადამ; 11. ალტაირი.
შვეულად: 1. ფსონი; 2. ლეი; 3. ამბიცია; 4. იანვარი; 7. მატიე; 10. პტი.

ათი ყველაზე დიდი ქალაქი

წარმოგიდგენთ მსოფლიოს ათ ყველაზე დიდ ქალაქს მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით

10. მოსახლეობის რაოდენობის მხრივ, ყველაზე დიდ ქალაქებს შორის, მექსიკის დედაქალაქი **მეხიკო** მეათე ადგილზეა, ხოლო მისი მოსახლეობის რაოდენობა კი თითქმის 19.5 მილიონს შეადგენს. მეხიკო მექსიკის ფინანსურ-ეკონომიკურ და ასევე კულტურულ ცენტრს წარმოადგენს. იგი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქია სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე.

9. მეცხრე ადგილზე კი ბრაზილიის ყველაზე დიდი ქალაქი **სან პაულო** იმყოფება, რომლის მოსახლეობაც 20 მილიონს შეადგენს. ქალაქი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მაღალ ტურისტულ რეგიონს მთელს ბრაზილიაში. სან პაულოში თქვენ უამრავი ღირსშესანიშნაობის ნახვა შეგიძლიათ.

8. მერვე ადგილს კი ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქი **ნიუ-იორკი** იკავებს, სადაც, დაახლოებით, 20,5 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. იგი აშშ-ს უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ქალაქია. ქალაქს ასევე მსოფლიოს კულტურული დედაქალაქის წოდება გააჩნია.

7. მსოფლიოს მეშვიდე ყველაზე დიდი ქალაქი კი პაკისტანის ფინანსური ცენტრი **კარაჩია**. მისი მოსახლეობის რაოდენობა 20.7 მილიონს შეადგენს.

6. მეექვსე ყველაზე დიდი ქალაქი ფილიპინების დედაქალაქი **მანილაა** თავისი 20.8 მილიონიანი მოსახლეობით.

5. მსოფლიოში სიდიდით მეხუთე ჩინეთის ქალაქი **შანხაი**ა. ქალაქში, დაახლოებით, 20.9 მილიონი ადამიანი ცხოვრობს და იგი მსოფლიო ბიზნესის ერთ-ერთ საკვანძო ქალაქებს შორისაა.

4. ინდოეთის ქალაქი **დელი** კი მსოფლიოს ყველაზე დიდ ქალაქებს შორის მეოთხე ადგილს იკავებს თავისი 22.2 მილიონიანი მოსახლეობით. დელი მოიცავს ნიუ დელის, რომელიც არის ინდოეთის დედაქალაქი.

3. მესამე ადგილზე სამხრეთ კორეაში მდებარე ქალაქი **სეულია**. მისი მოსახლეობა 22.5 მილიონს შეადგენს. სეული აზიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქია. იგი უდიდესი ტექნოლოგიური კომპანიების LG-ისა და SAMSUNG-ის სახლია.

2. მეორე ყველაზე დიდი ქალაქი ინდონეზიის დედაქალაქი **ჯაკარტაა**. მისი მოსახლეობა 20 მილიონ 63 ათასია. იგი ინდონეზიის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური და ფინანსური ქალაქია. ამ ყველაფრის მიუხედავად ჯაკარტა არც ისე მიმზიდველია ტურისტებისთვის.

1. მსოფლიოს ყველაზე დიდი ქალაქი კი იაპონიის დედაქალაქი **ტოკიოა**. ტოკიოში 37 მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს და იგი საცხოვრებლად მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ქალაქია. აქ უამრავი ცნობილი კომპანიის მთავარი ოფისია განთავსებული. მას ყოველწლიურად მილიონობით ადამიანი სტუმრობს.

1. ტოკიო

2. ჯაკარტა

3. სეული

4. დელი


5. შანხაი

6. მანილა

7. კარაჩი

8 ნიუ-იორკი

9. სან პაულო

10. მეხიკო



შეადგინა ალეკო ნემსაძემ

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

ცნობილი ქართველი მსახიობი **რამაზ ჩხიკვაძე** ვერავინ ამოიცნო.

რას დაარქმევდით?

გიორგი მარგველაშვილი

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

თეა წულუკიანი

დაგვიკავშირდით:
- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

თქვენ გზას ტაძრამდე მივყავართ?

შაქრო გაბელაშვილი

კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 3. ედსონ ... დუ ნასიმენტუ პელე; 5. იგივეა, რაც ბატკანი; 6. ბაშკირეთის დედაქალაქი; 8. ბგერის გრაფიკული გამოსახულება; 9. აომინი ანუ? 11. მდინარე საქართველოში.

ვერტიკალურად: 1. აღმოსავლური ტკბილეული; 2. ხის პატარა ტოტი; 3. ერთი ქვეყნის თავდასხმა მეორეზე; 4. იგივეა, რაც სამარა; 7. შოკოლადის ხე; 10. ქალაქი ... ვეგასი.